ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 29-Ე ᲬᲚᲘᲡ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1949 წ. № 56 (8259). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲬᲐᲛᲐᲠᲐᲒᲝᲗ ᲛᲨᲕᲔᲓᲒᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲨᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ—ᲛᲝᲬᲕᲜᲐᲕᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ Ⅲ. Ⅰ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ 23-Ე ᲢᲝᲛᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲠᲓᲘ).

Ⅲ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — 100 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲔᲕᲙᲐᲚᲘᲞᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲒᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲛᲔᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲠᲓᲘ).

3. ᲚᲘᲜᲔᲯᲘᲡ — ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲣᲪᲮᲝᲗᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ—ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ (ᲛᲔ-3 ᲓᲐ ᲛᲔ-4 ᲒᲕᲠᲓᲘ).

ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲐᲛᲐᲠᲐᲒᲝᲗ ᲛᲨᲕᲔᲓᲒᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲨᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲘᲡᲔ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲝᲓᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲒᲐᲩᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲗᲝᲗᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲡᲛᲔᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ, ᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲛᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ, 732 ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲝᲑᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ, 732 ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲝᲑᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ

მოსკოვიდან გაემგზავრა კორეის მთავრობის დელეგაცია

20 მარტს მოსკოვიდან ლენინგრადს, ხოლო შედეგ სამშობლოში გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ბ-ნ კიმ ირ სენის, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ პაკ ხენ ენის, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ბ-ნ ხონ მენ ხის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ ტენ დიერ თხიაკის, ვაჭრობის მინისტრის ბ-ნ ტიან სი ულ, განათლების მინისტრის ბ-ნ პიაკ ნამ უნის, კავშირგაბმულობის მინისტრის ბ-ნ კიმ დენ დიუს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ოფიციალურ პირთა შემადგენლობით.

ლენინგრადის ვაგზალზე წამსვლელები გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ, საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მ. ა. მეშიკოვმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ვ. სლავინმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ვ. აბრამოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი შორეულ აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ნ. ტ. ფედორენკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილემ პ. ა. ბუშუევმა.

წამსვლელები აგრეთვე გააცილეს კორეის საელჩოს წევრებმა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ დიუ ენ ხის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა.

ამავე დროს მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის ელჩი კორეაში ტ. ფ. შტიკოვი.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო სპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზალი მორთული იყო კორეისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

საბჭოთა კავშირ-კორეის საზღვრამდე დელეგაციას გააცილებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (საკდესი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ბ-ნ კიმ ირ სენის სიტყვა

მოსკოვიდან გამგზავრებისას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი ვაგზალზე მიკროფონს წინ გამოვიდა შემდეგი სიტყვით:

„დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სტოვებს საბჭოთა კავშირის მშვენიერ დედაქალაქ მოსკოვს.

მთელი ჩვენი მოლაპარაკება, რომელიც მოსკოვში ყოფნის დროს გვქონდა, გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა. ამის შედეგად ხელმოწერილია შეთანხმება ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის და განსაკუთრებით გენერალისიმუს სტალინის დიდსულოვნების მეოხებით ჩვენ საბჭოთა კავშირისაგან ისეთი დახმარება მივიღეთ, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ განვითარებას.

დიდ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის დამყარება ხელს შეუწყობს კორეელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის უფრო მეტ ამაღლებას და სამსახურს გაუწევს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

მოსკოვში ყოფნით ჩვენ აგრეთვე ვისარგებლეთ იმისათვის, რომ უფრო ახლოს გაეცნობოდით დიდი საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მშენებლობის განსაცვიფრებელი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის დარგში და საბჭოთა ადამიანების სასიხარულო შეიმჩნევებითი შრომით!

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მხურვალე მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას და პირადად გენერალისიმუს სტალინს სტუმართმოყვარეობისა და მოლაპარაკების შედეგებისათვის.

გამგზავრებისას, ეუსურვებთ საბჭოთა ხალხს ახალ გრანდიოზულ მიღწევებს.

გაუმარჯოს კორეელი ხალხისა და დიდი საბჭოთა ხალხის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის გენიალურ ბელადს, კორეელი ხალხის დიდ მეგობარს გენერალისიმუს სტალინს!“.

მთავრდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სესხის ობლიგაციათა გაცემა

1949 წლის 31 მარტს მთავრდება ხელისმოწერილებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა გაცემის ვადა.

მუშებმა, მოსამსახურეებმა და კოლმეურნეებმა, რომლებსაც რაიმე მიზეზით არ მიუღიათ კუთვნილი ობლიგაციები, 1949 წლის 1 აპრილამდე უნდა მიიღონ ისინი ცენტრალურ შემნახველ სალაროებში ორგანიზაციის ან კოლმეურნეობის ადგილსამყოფელზე, სადაც ხელმოწერა იყო გაფორმებული.

1949 წლის 1 აპრილიდან შეწყდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მოუთხოვნელ ობლიგაციათა გაცემა. (საკდესი).

აღგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ყურადღების ცენტრში

ზუგდიდის რაიონში გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. სანიმუშოდ მუშაობენ სოფელ კოკის და ახალსოფლის კოლმეურნეობები. ბრიგადებსა და რგოლებს, გუთნის დედებსა და ტრაქტორისტებს ერთმანეთს შორის გაჩაღებული აქვთ სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები დიდი ინტერესით ეკიდებიან უხვმოსავლიანი ნაკვეთების მომზადებას თესვისათვის. მასთბრივად შეაქვთ ორგანული სასუქი — ნაკელი, ტკილი, შლამი და სხვ. ტრაქტორები და გუთნეულები მასობრივად გავიდნენ ხვნაზე. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას ეხება ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ სარედაქციო წერილი. მიუხედავად ცალკეული წარმატებისა

„რაიონის მეტწილ კოლმეურნეობებში შეუწყნარებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. ამის გამო ყველგან გათვალისწინებული 7.655 ჰექტარიდან მოიხნეს 1.704 ჰექტარი ხავსიე ფართობი, მათ შორის ტრაქტორით — 500 ჰექტარი“.—ნათქვამია სარედაქციო წერილში.

„მებრძოლი“ შეუწყნარებლად თვლის სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში არსებულ მდგომარეობას, სადაც მოსახნავია 196 ჰექტარი ფართობი, ხოლო კოლმეურნეობის 40 უღელი მუშა საქონელი ჯერაც არ გაუყვანიათ მინდვრად სამუშაოდ. ჩამორჩენილია სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „ოქტომბერი“, ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის, სოფელ კიროვის 5 დეკემბრის სახელობის, ორულუს, ცაიშისა და სხვა კოლმეურნეობები. გაზეთი სამართლიანად დაასკვნის, რომ

„მდგომარეობის ასე გაგრძელება დანაშაულს უდრის. კოლმეურნეობათა გამგეობებმა და საკოლმეურნეო პარტიულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა შესაძლებლობანი უნდა გამოიყენონ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად“.

საკავშირო ალაკ XI ყრილობის შესახებ ვედრაკ

გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“ წერილში „ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა წარმატება“ ეხება ტყვარჩელის ბერიას სახელობის თბოელექტრონსადგურის კომკავშირელთა მიღწევებს, რაც მთ მოიპოვეს საკავშირო ალაკ XI ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ნაკისარ ვალდებულებათა შესრულებაში. ბევრი ახალგაზრდა ყრილობას ხვდება თავისი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებით. მოკლე ხნის განმავლობაში მერიგე მექანიკის პროფესია აითვისა ერთმა ახალგაზრდამ, ხოლო ორი კომკავშირელი დაეუფლა ქვაბის უფროსი მემანქანის სპეციალობას. როგორც გაზეთი წერს,

„ახალგაზრდა ენერგეტიკოსები იბრძვიან ეკონომიისათვის. მათ დაზოგეს 510 ტონა სათბობი, 175 კილოგრამი ზეთი და სხვ.

თბოელექტრონსადგურის კომკავშირელებმა გაუწიეს 50 ათასი მანეთის ეკონომია... საკავშირო ალაკ XI ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ალებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა კომკავშირელმა ა. ლეონკომ, რომელმაც პირადი ხელფასიდან ნორმა ჯერ კიდევ გასულ წელს შეასრულა. ახლა იგი ყოველდღიურ დავალებას 190-200 პროცენტით ასრულებს.

წარმატებით მუშაობენ აგრეთვე კომკავშირელები ი. რუდაკოვი, ა. ბაიშკინი და სხვ“.

კოლმეურნეთა თანანაზღაურებით

ამ სათაურით ბუქდავს ახმეტის რაიონული გაზეთი „გამარჯვება“ რაიისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის დ. მუტარაულის წერილს. მასში აღნიშნულია, რომ ამასწინათ სოფელ საკობიანოს ზ. ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა რაიონის კოლმეურნეებს მიმართეს მოწოდებით—ოქტიური მონაწილეობა მიიღონ რაიონის ცენტრის — სოფელ ახმეტის კეთილმოწყობაში. ამ მოწოდებას ფაქიზიდ გამოეხმაურნენ რაიონის ყველა კოლმეურნეობები და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი. როგორც ავტორი წერს,

„1 მარტიდან კოლმეურნეებმა შრომითი მონაწილეობით დანაშნულ ადგილზე მიზიდეს 650 კუბმეტრი ქვა და 120 კუბმეტრი ხილა... ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ხანმოშოდ მუშაობენ ხაკობიანის, ბირკანის, ოფეოს, საბეროს, დუხისის, ახმეტისა და ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობები“.

ახმეტის რაიონის კოლმეურნეთა პატრიოტული თათსონობა — თავიანთი რაიონული ცენტრი გადააქციონ კარგ და კეთილმოწყობილ დასახლებულ პუნქტად — კარგი ინიციატივაა.

ეკონომიკა მეოთხედი ახლა ფრიადოსნებმა აჩიან

ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დიდი სამამულო ომის ბევრი მონაწილე სწავლობს. ახალგაზრდები, რომლებმაც მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლებისათვის ორდენები და მედლები დამშსხურეს, ახლა სწავლის ფრიადოსნები არიან. საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო გაზეთი „სტალინელი“ წერს:

„სტუდენტები თ. ტატიშვილი, ზ. ბერიაშვილი, ა. ივანაძე, ე. ბაბასაძე, შ. ზეხნი და სხვები დიდი სამამულო ომის მონაწილეები არიან. თ. ბაბასაძე ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის ფრიადოსანი სტუდენტია, სამამულო ომში მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია მედლებით. იგი ყოველდღიურად იმაღლებს პოლიტიკური ცოდნის დონეს, სიფუძვლიანად ეუფლება მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს. სტუდენტ შ. ზეხნის მეოთხე კურსის ფრიადოსანი ბერიაკელაკის ორდენი და სამი მედალი აქვს მინდობილი. იგი მონაწილეობდა ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამჟამად შ. ზეხნი მეოთხე კურსის სტუდენტია. გეორგიოვის ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ა. ივანინე თავდადებით იბრძოდა ბერლინელი ურდოების წინააღმდეგ ვიტებსკში, ბრესლაში, ვარშავაში და ბერლინში.

ინსტიტუტი ამაყობს სამამულო ომის მონაწილე ახალგაზრდებით, ამჟამად სწავლის ფრიადოსნებით“.

მეშახტეები ამოწმებენ კოლექტიური ხელშეკრულებათა შესრულებას

ტყიბულის შახტებში მიმდინარეობს 1948 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება და 1949 წლის ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადება.

სტალინის სახელობის შახტში ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად შეიქმნა ექვსი ბრიგადა. მათ გულდასმით შეამოწმეს გასული წლის ხელშეკრულების თვითეული მუხლი. შარშანდელმა კოლექტიურმა ხელშეკრულებამ დიდი როლი შეასრულა ქვანახშირის ამოღების გადიდების საქმეში. კოლექტიური ხელშეკრულების დადების შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა შახტში შრომის დისციპლინა, მოგვარდა სატაბელო მეურნეობა, შემცირდა ქვანახშირის ნაცრიანობა, გადიდდა სოციალისტური დაგროვება, გაფართოვდა შახტის სავაგონო-სარემონტო საამქრო, რამაც შეამცირა საშახტო ვაგონების რემონტში დაგმის დრო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრები პირობები. საერთო საცხოვრებლებისათვის შეიძინეს საკმაო ინვენტარი. ბინებთან მოეწყო საერთო სარგებლობის სამზარეულოები, ადუღებული წყლით მცხოვრებთა უზრუნველყოფის მიზნით დაიდგა ავზები.

მაგრამ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი რიგი მუხლები შეუსრულებელია. შახტის ადმინისტრაციის ნაკისრი ჰქონდა 1949 წლის 1 იანვრისათვის სანგრევების საერთო ხაზის სიგრძე აეყვანა 881 კრეტამეტრამდე. სინამდვილეში კი სანგრევების ხაზის სიგრძე მხოლოდ 519 კრეტა მეტრს მიაღწია. შახტმა ვერ შეასრულა ქვანახშირის ამოღების გასული წლის გეგმა. ხელშეკრულების თანახმად ადმინისტრაციის ორი ლავა უნდა გადაეყვანა ციკლური მუშაობის მეთოდზე. ეს მუხლი პირველად შახტის ადმინისტრაციამ განახორციელა, მაგრამ შემდეგ ამ საქმეს თავი ვერ გაართვა და მიეგიწყა.

ხელშეკრულებაში შეტანილი იყო ისეთი მუხლებიც, რომელთა შესრულება სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო.

გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმე კიდევ უფრო ცუდადაა ლენინის სახელობის შახტში. აქ შახტის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციების დაუდევრობის შედეგად ხელშეკრულებაში ჩაწერილი მუხლების მეტი ნაწილი შეუსრულებელი დარჩა.

სამთო გამონამშეგვართა გეგმის შეუსრულებლობამ თავისი დაღი დასვა ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაზე. ლენინის სახელობის შახტმა გასულ წელს რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი დაკაკო ქვეყანას. ტონა ქვანახშირი ორი მანეთით მეტი დაჯდა, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. არ მოხერხდა სავაგონო-სარემონტო საამქროს გაფართოება, რაც აფერხებს მოძრაობის უხნის ნორმალურ მუშაობას. კოლექტიურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სპეციალისტების სამრეცხაოს მოწყობა, მაგრამ ეს მუხლი რატამღაც უყურადღებოდ დატოვეს, როგორც თითქოს არამნიშვნელოვანი. სინამდვილეში კი მას დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საქმეში. შახტში ჯერ კიდევ მოუგვარებელია მეშახტეთა ბინების ქვანახშირით მომარაგების საკითხი, ჭიანურდება კლუბის რემონტი.

ძველი ხელშეკრულებების შესრულების მასობრივი შემოწმებამ და ახალ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადებამ შესაძრნეველ აამაღლა ტყიბულელ მეშახტეთა აქტივობა. საერთო კრებებზე მეშახტეებმა წამოაყენეს ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება 1949 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებაში შესატანად. სტახანოველები სახავენ ღონისძიებებს ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის, ხის სამაგრი მასალის, ელექტროენერგიის ეკონომიისათვის, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რამდენიმე ათეული წინადადებაა შემოტანილი სტალინის სახელობის შახტში. ერთ-ერთი წინადადება მოუთითებს იმაზე, რომ შახტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კომპლექსური ბრიგადის ყველა წევრის მიერ სხვადასხვა სამხტო პროფესიების შესწავლა, როგორიცაა მებიგიენა, ამფეთქებლობა, მემანქანეობა, ზეინკლობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ბრიგადის შრომის ნაყოფიერებას.

ლენინის სახელობის შახტში დიდი ყურადღება მიაქციეს ისეთი შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციას, როგორიცაა ფუჭი ქანების გამტვერვა.

მოლოტოვის სახელობის შახტში წელს პირველად დეგენ კოლექტიურ ხელშეკრულებას. მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, შეიქმნა 10 ბრიგადა. უკვე შეგროვილია ოცზე მეტი წინადადება. მათ შორის ერთ-ერთი წინადადება შეეხება მესამე უბნის საველე შტრეკში ქვანახშირის ამწენენი მანქანის დადგმას. მეორე წინადადება ეხება შახტის მიასალელი ქუჩის მოკირწყვლას.

შახტების, ადმინისტრაციებმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა უნდა გამოიყენონ კოლექტიური ხელშეკრულების შემოწმების პერიოდში შეძენილი დიდი გამოცდილება, უფრო ფართოდ გაშალონ წინადადებათა შეგროვება. მუშების მიერ წამოყენებული საქმიანი წინადადებები სუფთაქლად უნდა დადგეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებას.

ვ. ცირეკიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

100 მილიონი ეკალიპტისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოში ტყისაცავი ზოლების შექმნის, მთის ფერდობებისა და უტყეო ფართობების გატყიანების, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების ქარისაგან დაცვის მიზნით ფართოდ უნდა გავრცელდეს სწრაფმზარდი და ძვირფასი ტექნიკური თვისებების მქონე ხე—ეკალიპტი. დადგენილება ითვალისწინებს მეხუთე ხუთწლედში ეკალიპტის ნარგავების 100 მილიონ ძირამდე აყვანას. აქედან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით გაშენდება 57,6 მილიონი ძირი ეკალიპტი, ხოლო სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაზით—20,4 მილიონი ძირი.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ეკალიპტი უმთავრესად სახელმწიფო ტყის ზოლებში უნდა გააშენოს. ამ ზოლების მიზანია ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის პლანტაციების დაცვა ქარისაგან. ცნობილია, რომ კოლხეთის დაბლობების ათეული ათასი ჰექტარი ნოყიერი ნიადაგი, რომელიც საეკუნეების განმავლობაში თმელხარებითა და ჭაობებით იყო დაფარული, საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით გადაიქცა ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს და სხვა სუბტროპიკული კულტურების აყვავებულ პლანტაციებად. ეს პლანტაციები შემორკალულია მინდორსაცავი ტყის ზოლებით.

მაგრამ საკმარისი არ არის მარტო მინდორსაცავი ზოლების შექმნა, საჭიროა მოიწყოს სახელმწიფო ტყის საცავი ზოლების მძლავრი სისტემა. ამ საქმეში ეკალიპტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო ტყის საცავ ზოლებში კოლხეთის დაბლობისა და იმერეთისათვის ძირითად ჯიშად ეკალიპტია მიღებული, რომელიც წიწვან და ფოთოლოვან ჯიშებთან შერეცთან უნდა დაირგოს. ასეთი შერევა ხელს შეუწყობს ნარგავთა გამძლეობას და დამცველის როლის შესრულებას.

ეკალიპტის სახელმწიფო ტყისსაცავი ზოლები მოეწყობა კოლხეთის დაბლობსა და იმერეთში 700 კილომეტრზე, სულ 8.600 ჰექტარზე. ზოლების მიმართულება იქნება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ასეთი ზოლები გაიცლიან ერთი მეორისაგან 10-15 კილომეტრის დაშორებით და ერთმანეთის პარალელურად. ზოლების მაქსიმალური სიგრძე 75-80 კილომეტრი იქნება, სიგანე კი 200, 100 და 60 მეტრი.

ზოლების სიგანე კლებულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს იმიტომ ხდება, რომ, თუ აღმოსავლეთის მშრალი ქარებისაგან დასაცავად საკმარისია 60 და 100-მეტრიანი სიგანის ზოლი, დასავლეთის ცივი ქარებისაგან დასაცავად 200 მეტრზე ნაკლები სიგანის ზოლი არ იკმარებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზოლებში სხვადასხვა ჯიშთა განლაგებას. შემუშავებულია სამგვარი ტიპის ზოლები. 200-მეტრიანი სიგანის ზოლები დასავლეთის მხრიდან 40 მეტრის სიგანეზე წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის ხეები დაირგვება ასეთი შეფარდებით: 85 პროცენტი იქნება წიწვიანი და 15 პროცენტი ფოთლოვანი; შემდეგ 40 მეტრს დაიკავებს ეკალიპტი; 10 მეტრი წიწვიანებს და ფოთლოვანებს დაეთმობა; შემდეგ 40 მეტრი კვლავ დაეთმობა ეკალიპტს და სხვ. ეკალიპტის ტყე ძლიერ სინთალიანია. ეს საშუალებას იძლევა მისი კრონის ქვეშ განვითარდნენ სხვადასხვა ბუჩქები. განზრახულია უმთავრესად დაფნის გაშენება.

ეკალიპტის სახელმწიფო ტყის ზოლების გაშენება 1950 წლიდან დაიწყება. ამ ზოლების მოვლისათვის მოეწყობა სპეციალური ტყისაცავი სადგურები, სულ ოთხი, აქედან ორი.— წელს. თვითეულ სადგურს მიეცემა სხვადასხვა მარკის 28 ტრაქტორი, 24 გუთანი, ტყის სარგავი 30 მანქანა, გარდა ამისა გრეიდერები, ექსკავატორები, საწვიმარი დანადგარები, არხის მთხრელები, ავტომანქანები, ავტოცისტერნები, ექნები ავტოსახელოსნები, ელექტროშემდუღებელი აგრეგატები და სხვ. ამგვარად, მუშაობის ყველა პროცესი სახელმწიფო ზოლებში მექანიზებული იქნება.

ასევე მექანიზებული იქნება სამუშაოები ეკალიპტის სახელმწიფო სანერგეებში, რომელნიც სატყეო სამინისტრომ უნდა მოაწყოს ამ პუნქტში თვითეული სულ მცირე 100 ჰექტარ ფართობზე. გარდა ამისა, წელს აშენდება 10 ორანჟერეა და 900 სათბური. სათბურები მოეწყობა უმთავრესად ონამჩირის, ზუგდიდის, კოლხეთის და ქობულეთის სატყეო მეურნეობებში, რომელთაც საჭირო გამოცდილება აქვთ ამ საქმეში. სათბურებს მოაწყობენ აგრეთვე ქუთაისის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ტყიბულის, მახარაძისა და მაიაკოვსკის რაიონების სატყეო მეურნეობები.

ფართოდ გაიშლება ნერგის გამოყვანაზე მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზითაც; წელს უნდა აგარო 10 ორანჟერეა და 1.900 სათბური.

ნერგის გამოსაყვანად საჭირო თესლის დამზადება დაკალებული აქვს ჩაქვის მეთესლეობის კანტორას.

როგორც ვხედავთ, წელს მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებაა გათვალისწინებული. უნდა დამთავრდეს ზოლების გამოყოფა და ზოლების გაშენების ტექნიკური პროექტების შედგენა, მოეწყოს ორი ტყისაცავი სადგური და ორიც სახელმწიფო სანერგე, დაყომპლექტდეს ისინი საჭირო სპეციალისტებით, აშენდეს სატყეო მეურნეობებში მუშათა საცხოვრებელი სახლები, შეძენილ იქნას მუშა საქონელი, მომზადდეს ტრაქტორებსა და სხვა მანქანებზე მომუშავენი, გამოიყოს ეკალიპტის კულტურის სპეციალისტები და სხვ. ამ სამუშაოთა დროზე შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1950 წლის დაკალებათა წარმატებით განადგდების საქმეში.

მთავრობის დადგენილებით მუდმივ ადგილზე წელს უნდა დაირგოს 430 ათასი ძირი ეკალიპტის სტანდარტული ნერგი. ფაქტიურად ონამჩირის, ქობულეთის, ზუგდიდის, კოლხეთის, მახარაძისა და ქუთაისის სატყეო მეურნეობებმა 600 ათასი ძირის დარგვა იკისრეს. მთელი რიგი სატყეო მეურნეობები, რომელთაც დღემდე სარგავი მასალა არ გამოყავდათ, წელს იწყებენ სათბურების მშენებლობას ნარგავების გამოსაყვანად. მაგალითად, ქუთაისის სატყეო მეურნეობაში წელს 70 სათბური აიგება, გეგეჭკორის სატყეო მეურნეობაში—20, ჩხოროწყუს — 20, ტყიბულის—20, მახარაძის—30, მაიაკოვსკის—40, ცხაკაიას სახელმწიფო სანერგე გააშენებს 5 ორანჟერეას და 125 სათბურს. ამდენივე ორანჟერეას და სათბურს აგებს ზესტაფონის სახელმწიფო სანერგე.

ეკალიპტის კულტურის განვითარება და სახელმწიფო ტყისსაცავი ზოლების მოწყობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დაეხმარებიან სატყეო მეურნეობებს და ტყისაცავ სადგურებს მუშახელით და საჭირო გამწევი ძალით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და პარტიის რაიკომები.

სატყეო მეურნეობები პირობას იძლევიან, რომ წელს მეტი ეკალიპტის ნერგს გამოიყვანენ, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული. მაგალითად, ონამჩირის სატყეო მეურნეობამ (დირექტორი—ამხ. ჩიმაკაძე)—520 ათასი ძირი, კოლხეთის სატყეო მეურნეობამ (დირექტორი ამხ. აჩხარაშვილი)—750 ათასი ძირი, ზუგდიდის სატყეო მეურნეობამ (დირექტორი—ამხ. მაკაცარია)—250 ათასი ძირი. სულ წელს გეგმით გათვალისწინებული 1.270 ათასი ძირის ნაცვლად გამოყვანილ იქნება 2.270 ათასი ძირი ეკალიპტის ნერგი. აღნიშნული ნერგის გამოსაყვანად ონამჩირის, ზუგდიდისა და კოლხეთის სატყეო მეურნეობები დამატებით ააგებენ 100-100 სათბურს. ქობულეთის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ამხ. ჩიმაკაძემ 159 სათბურის აგება იკისრა.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა გაბუნყვეტლივ ზრუნავენ და ყოველგვარ პირობას ქმნიან იმისათვის, რომ კოლხეთი გადაიქცეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ, მიეცეს ოთხი ჩვენი სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას ეს აყვავება. ამ მზრუნველობას და დახმარებას ვუპასუხოთ მუშაობის გაუმჯობესებით და გაძლიერებით, გავაშენოთ სულ მეტი და მეტი ეკალიპტი, სანმეშოდ მოვუპაროთ ნარგავებს.

ა. მარჯანიშვილი

სჯართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე

ხელი მოაწერეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას

დედაქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოების შორის თბილისის აბრეშუმაქსოვი ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა პირველმა დადო 1949 წლის კოლექტიური ხელშეკრულება ფაბრიკის დირექციასთან. ახალი ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. შარშანდელი ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად ცალებში, საამქროებსა და ჯგუფებში შედგა მუშა-მოსამსახურეთა კრებები, რომლებშიც მონაწილეობდა მუშათა დიდი უმრავლესობა. ხელშეკრულების შესრულების შემოწმების პროცესში და საერთოდ მოსამზადებელ პერიოდში შემოვიდა სამასზე მეტი წინადადება, რომლებიც ძირითადად ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარო-საყოფაცხოვრებო, კადრების მომზადების, ხელფასის ანაზღაურების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის დაცვის, მუშათა მომარაგების, კულტურული მომსახურებისა და მთელ რიგ სხვა აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა. შემოსული წინადადებებიდან ახალ ხელშეკრულებაში შეტანილია 252.

15 მარტს ხელშეკრულების საბოლოო გაფორმებისათვის ფაბრიკის კოლექტივი მუშათა კლუბში შეიკრიბა. ხელშეკრულების ტექსტი შეკრებილთ წაუკითხა ფაბრიკის დირექტორის თოდოდგლეკ ამხ. ვ. ჩიქოვანმა, რომელმაც მოიწოდა კოლექტივს ერთსულოვნად იბრძოლონ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განსაზორციელებლად, ახალი ხუთწლედის მეოთხე წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესასრულებლად, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით როგორც ფაბრიკის დირექცია, ისე მუშათა კოლექტივი სერიოზულ ვალდებულებებს კისრულობენ. დირექციის ძირითადი ვალდებულებანი წინა წლეთან შედარებით ხამი ქსოვილისა და მზა პროდუქციის გამოშვების თვალსაჩინოდ გადიდება, კადრების მომზადება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, თვითღირებულების შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით დირექცია საამქროებში განახორციელებს მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს.

საბინაო-საყოფაცხოვრებო, შრომის დაცვისა და მუშათა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად დირექცია კისრულობს მიმდინარე წელს აგოს 24-ოთახიანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, შეაკეთოს არსებული სახლები, საბავშვო ბაგის, საქარხნო-საფაბრიკო სკოლის, სასადილოს, კლუბისა და ამბარის შენობები, აგრეთვე ჰიგიენის ოთახი, ზამთარში მუშათა ყველა საცხოვრებელი სახლი უზრუნველყოს გათბობით, ახლად აგებული ბინები განაწილოს საფაბრიკო კომიტეტთან შეთანხმებით, გაუმჯობესოს სასადილოსა და ბუფეტის მუშაობა, დამხმარე მეურნეობიდან სასადილოსათვის მიიღოს 100 ტონა ბოსტნეული.

მუშათა კოლექტივის სახელით საფაბრიკო კომიტეტი კისრულობს კიდევ უფრო გაჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, წაამყვანი პროფესიის ყველა მუშა ჩაბას შეჯიბრებაში, დაეხმაროს ფიქრებს ა. ჩუტკიხის მაგალითისამებრ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ინდივიდუალური და ბრიგადული ხელშეკრულებების გაფორმებაში, ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს შეჯიბრებაში გამარჯვებულ, მოაწყოს სპპატიო დაფა, იქონიოს „სპპატიო წიგნი“ მასში საუკეთესო სტახანოველთა შესატანად, პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადასცეს „სპპატიო სიგელი“, იბრძოლოს ყველა საამქროში და უბანზე სამეურნეო ანგარიშის დასანერგავად, მიაღწიოს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების. შემდგომ გაუმჯობესებას. კონტროლი გაუწი

გადავაქციოთ გორი სავსებით თანამედროვე კეთილმოწყობილ ქალაქად

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები შეუფერებლად ზრუნავენ ქალაქ გორის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა გაწეული ქალაქის კეთილმოწყობის, კულტურისა და დასვენების პარკის, სანაპიროსა და ფიზკულტურულ ნაგებობათა შენებლობისათვის.

გამშვენიერდა ქალაქის ბაღი. მოიწყო სკვერები და გაზონები. ახლად გაშენდა თეატრის, სანაპიროს, წერილის და ლომბოურის სახელობის სკვერები. ქუჩების ნაპირებზე და გაზონებში მრავალწლიანი ბუჩქოვან-ფოთლოვანი მცენარეები დაირგო. გამოიყო ექვსი ჰექტარი სანერგე. ქალაქის გამწვანების მიზნით დაირგო 23.200 ძირი დეკორაციული და ბუჩქოვანი მცენარე, მილიონნახევარი ერთწლიანი ყვავილი, რაზეცაა 1.160 ათასი მანეთი დაიხარჯა.

მაგრამ გორის კეთილმოწყობის საქმეში არის ნაკლოვანებებიც, განსაკუთრებით გამწვანებისა და სანიტარული მდგომარეობის საქმეში.

არასაკმაოდ მუშაობს კომუნალური განყოფილება, რომლის გამგეა ამხ. დ. ჩუტკერაშვილი, და გამწვანების სექტორი, რომელსაც ამხ. შ. გიგოლაშვილი ხელმძღვანელობს. ქალაქში რგავენ 3-5-წლიან მცენარეებს ნაცვლად 10-15 წლიანისა. ახალ ნარგავთა მოვლა-პატრონობა არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ფიზკულტურის ყოფილ მოედანზე დარგული 600 მცენარიდან უმეტესობა გახმა. ასობით ძირი გაშენებული ნარგავების 30-40 პროცენტი გახმა კიროვის, ვოროშილოვის, ძნელაძისა და ბაბაკის ქუჩებზე. რკინიგზის გორის სადგურის უბანში საფსკოფილია ახალ ნარგავთა გაშენებისა და სკვერების მოწყობის საქმე. გორის სატარო ბაზისა და შპალაჟღენთი ქარხნის ხელმძღვანელები აბრამაშვილი და შენგელია არ ფიქრობენ მათი სამოქმედო ტერიტორიის გამწვანებაზე.

ჯერ კიდევ ფართოდ არ გაჩაღებული სტალინის სახელობის პროსპექტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოები. უნდა გაძლიერდეს მუშაობის ტემპი, რათა მიმდინარე წელს გაშენდეს 3.000 ძირი 10-15-წლიანი მცენარე, 5.000 ძირი ბუჩქოვანები და ერთ მილიონამდე ერთწლიანი ყვავილები. ამ მიზნით გამოყოფილი 150 ათასი მანეთი ათვისებული უნდა იქნას.

ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, ქალაქ გორში სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარული მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. მოუქნელად მუშაობს კომუნალურ განყოფილებასთან არსებული დასუფთავების ტრესტი: 30-ის ნაცვლად 20 მეეზოვე ყოფილ, მათ შორის განმტკიცებული არ არის შრომის დისციპლინა. წესად დამკვიდრებულია, ტრესტი დამტკიცებულ ტარიფებზე ნაკლებ ფასებს ადგენს. ამიტომ ქალაქის ბევრ უბანში ანტისანიტარული მდგომარეობაა. არ სრულდება საქალაქო საბჭოს აღმასკომის გასული წლის ოქტომბრის სავალდებულო დადგენილება სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნულ დადგენილებას სისტემატურად არღვევენ რესტორანების გამგეები გრეკოები, ლობანინე და კილასოვი, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექტორი ს. მიხასაშვილი, ცალკეული მოქალაქეები — დავარაშვილი, მამინოვი, ალშვილი, სიხარულიძე, ყაზაროფი და მკურნალიშვილი. მაგრამ იმათ წინააღმდეგ, ვინც ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. ქალაქის სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკები ჯანდერი და ნემმადიევა სუსტად მუშობენ.

თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, მეეხო რა რესპუბლიკისა და გორის კომუნალური მეურნეობის მიღწევებს, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა:

„საჭიროა შემდეგში კიდევ უფრო გავაძლიეროთ დაბრძანება გორის საქალაქო მეურნეობისადმი და გადავაქციოთ იგი საკმაებით თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქად, რომელიც ღირსი იქნება იმ ისტორიული სახელისა, რითაც იგი მთელ საბჭოთა ხალხში სარგებლობს“.

ამხანაგ კ. ჩარკვიანის ეს მითითება საბრძოლო პროგრამად მიიღეს გორის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ქალაქის მშრომელებმა.

ამასთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 14 მარტს მოიწვია საქალაქო საბჭოს დეპუტატების, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების, ბინათმმართველობისა და ქალაქის აქტივისტთა თათბირი, რომელმაც განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. ჩუბინიშვილის მოხსენება „ქალაქის გამწვანებისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ე. ჩუტკერაშვილი, ვ. მღებრიოვი, ს. შარაშენიძე, მ. ტატიშვილი, აქტივისტები ქ. ლაზარაშვილი, ვ. ნემეშაევა, მ. შეეცოცი და მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. კიჭოშვილი, ლაპარაკობდნენ რა აღნიშნულ ნაკლოვანებებზე, მათ შორის ყურადღებიანი არ არის შრომის დისციპლინა, სწორი დატვირთვით არ მუშაობს ტრესტის ავტოტრანსპორტი. ამიტომ ქალაქის ბევრ უბანში ანტისანიტარული მდგომარეობაა. არ სრულდება საქალაქო საბჭოს აღმასკომის გასული წლის ოქტომბრის სავალდებულო დადგენილება სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნულ დადგენილებას სისტემატურად არღვევენ რესტორანების გამგეები გრეკოები, ლობანინე და კილასოვი, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექტორი ს. მიხასაშვილი, ცალკეული მოქალაქეები — დავარაშვილი, მამინოვი, ალშვილი, სიხარულიძე, ყაზაროფი და მკურნალიშვილი. მაგრამ იმათ წინააღმდეგ, ვინც ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. ქალაქის სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკები ჯანდერი და ნემმადიევა სუსტად მუშობენ.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

კინოთეატრის მუშაობა გაუმჯობესდა

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომლის ავტორი გვატუობინებდა, რომ ზუგდიდის რაიონის კინოთეატრის დირექცია უმსგავსოდ მუშაობს.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომს. რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ობოლაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. კინოთეატრის შემოსავლის ნაწილის მითვისებისა და ფულების რემონტის გაკეთებისათვის გ. ზუგრაგა მოხსნილია დირექტორის თანამდებობიდან. სამუშაო მაათეებში სიმთვრალისათვის თანამშრომლიდან მოხსნილია აგრეთვე კინოთეატრის ბუხგალტერი კ. ჩიქოვანი.

რაიკომის მიერ დანიშნულ ღონისძიებათა გატარების შედეგად კინოთეატრის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესია

ბერლინი, 19 მარტი. (საგდესი). გუშინ ბერლინში გაიხსნა გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესია. სესიაზე ჩამოვიდნენ სახალხო საბჭოს წევრები ოკუპაციის ყველა ზონიდან, აგრეთვე დიდი ბერლინის საწარმო-დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სმდგომის დარბაზში სტუმრად ყავენ გერმანიაში სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენლები პოლოტყეური ნორმეველის ჯ. ს. სემიონოვის მეთაურობით, ბერლინში აკრედიტებულ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მისიათა მეთაურები, აგრეთვე ფასვენ გერმანიაში სამეფოთა ელჩებისა ზოგიერთი წარმომადგენელნი.

სხდომა გახსნა გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პროფესორმა კასტნერმა (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია), რომელმაც სახალხო საბჭოს წევრებს წინადადება მისცა სესიაზე განხილულ საკითხი ომ ეროვნული უბედურების მდგომარეობისა, რომელშიც გერმანია იმყოფება, აგრეთვე ეროვნული თვითდახმარების ამოცანების, მთელი გერმანიის დემოკრატიული კონსტიტუციის, სახალხო კონგრესის მოწვევის საკითხები. ეს დღის წესრიგი ეროსულოვნად დამტკიცეს.

პირველი პუნქტის შესახებ მოხსენება თემაზე „ეროვნული უბედურების მდგომარეობა და ეროვნული თვითდახმარების ამოცანები“ გააკეთა სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ ოტო ნუშკემ (კრისტიან დემოკრატთა კავშირი). ნუშკემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგად თავისი ისტორიის განსაკუთრებით მძიმე პერიოდს განიცდის. გერმანელი ხალხის ეროვნული არსებობის საფრთხე მოელის, გერმანელ ხალხს ომი ემუქრება. მაგრამ, ამბობს მომხსენებელი, გერმანელ ხალხს არ დაუკარგავს რწმენა ერთიანობისა და მშვიდობისათვის მოძრაობისადმი. ეროვნული უბედურების მდგომარეობა დაძლეულ თქვნა გერმანელი ხალხის ეროვნული თვითდახმარების გზით. სახალხო საბჭოს დრონმთა წარმოება მოძრაობაზე მთელ გერმანიის მოსახლეობა ფართო ფენების ჩაბმა, სახალხო სამეურნეო გეგმის გადაჭარბებით შესრულება ოკუპაციის საბჭოთა ზონაში, ბრძოლა ომის გამჩაგვრელთა წინააღმდეგ — ასეთია ეროვნული თვითდახმარების ამოცანები.

მოხსენების შემდეგ სიტყვა აიღო გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვილქეკერ პიკმა, რომელმაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ფრაქციის სახელით წარადგინა შეიტანა ერთიელ კიდევ სკადომ გერმანიის სახალხო კონგრესი. ვილქეკერ პიკმა წარადგინა შეიტანა — გერმანიის სახალხო საბჭოს სახელით ბონის „სპარლამენტი საბჭოს“ და ბონის ფრანკფურტის ორზონალურ ეკონომიურ საბჭოს გიგზავნოთ წერილი და წინადადება მიეცეთ მოხდეს ამ სამი ორგანიზაციის წარმომადგენლთა შეხვედრა საერთო თათბირზე, რომელიც განხრახულია მოეწყოს 8 აპრილ ქალაქ ბრაუნშვაიგში (ინგლისური ზონა).

პიკის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სახალხო საბჭოს ყველა წევრმა.

ნუშკეს მოხსენების გამო მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამპერიალისტური პოლიტიკა დასავლეთი სახელმწიფოებისა, რომელნიც აგრესიულ სამხედრო ბლოკებს აყოფენ, საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

გერმანელი ხალხის სახელით გერმანიის სახალხო საბჭო მოითხოვს:

1) შეიქმედეს საზავო ხელშეკრულების პრინციპული დებულებანი ალიანსი და პოტსდამის გადაწყვეტილებათა საფუძველზე;

2) აღიდგინონ იქნას გერმანიის ადმინისტრაციული და ეკონომიური ერთიანობა;

3) აღიდგინონ იქნას ეიდეტის ერთიანობა მთელი გერმანიისათვის და გაუქმდეს ზონების შორის ეკონომიური და სატრანსპორტო შეზღუდვა;

4) დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შეიქმნას გერმანიის დროებითი ცენტრალური მთავრობა. ამ მთავრობის შემადგენლობამ უნდა უზრუნველყოს სამშვიდობო პოლიტიკა ხანგრძლივი ვადით;

5) მოწვეულ იქნას სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც წარმოდგენილ იქნება გერმანიის დროებითი დემოკრატიული მთავრობა.

გერმანიის სახალხო საბჭოს წევრები საქეიფნოდ კისრულობენ ეალდებულებას — ყოველი ღონე ეხმაროონ ამ მიზნების განხორციელებისათვის და მოეწოდებენ ყველა გერმანელს — იბრძოლონ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და მშვიდობის დაცვისათვის.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ჩრდილო ამერიკის პარტიის შესახებ

ბერლინი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც ადნის საგენტო მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, ჩრდილო ამერიკის პარტიის ტეესტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ განეცხადება გაკეთა, სადაც ნათქვამია:

„ჩრდილო ამერიკის პარტი, რომელიც ესეს ანის გამოქვეყნდა, მსოფლიოში მშვიდობის წინააღმდეგ სერიოზული შეტევაა. ამერიკელი იმპერიალისტის დიპლომატებს რეგ თვე დასჭირდათ, რომ ფარული მოლაპარაკების გზით სამხედრო კავშირი შეეკრნათ. იმის გამო, რომ სამეფოთა კავშირი არასოდეს არ ყოფილა და არც არასოდეს იქნება ეგრესორი, ნათლად ჩანს, თუ რა ბეშმარიტი განზრახვები ჰქონდათ ამერიკელ იმპერიალისტებს, ატლანტიკის პაქტს რომ ჰქმნიდნენ.

ატლანტიკის პაქტი მშვიდობის შენარჩუნების საქმეს კი არ უწყობს ხელს, არამედ წარმოადგენს დიპლომატიურ ინსტრუმენტს სოციალისტური სამეფოთა კავშირის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ ახალი ომის მოსამზადებლად და ამავე დროს მთელ მსოფლიოში პროგრესული დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების წინააღმდეგ ომიერიალისტთა ბრძოლის ერთ-ერთ ფრონტად.

დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს შექმნა ატლანტიკის პაქტში დასავლეთ გერმანიის შეყვანის წინაპირობა უნდა გახდეს. ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ იმპერიალისტური სამხედრო გეგმების განსახორციელებლად გამოიყენონ გერმანელი ხალხი და დასავლეთ გერმანიის ეკონომიური პოტენციალი. გერმანია ავლენ ომის ასპარეზი უნდა გახდეს. ამის შედეგი შეიძლება იყოს მხლოდ გერმანიის სოფლებისა და ქალაქების სრული მოსპობა. ატლანტიკის პაქტი ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ძირითად ეროვნულ ინტერესს. ეროვნული არსებობის უზრუნველსაყოფად გერმანელ ხალხს შეეძლო ემყარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ ამერიკის საჯარო ვალდებულებათა ამ თვითნებერ, წინასწარგანზრახულ და სრულ დარღვევაზე.

ეოლესმა თქვა, რომ პაქტი შეერთებული შტატების კონგრესის უფლებებს — გამოიცხადოს ომი ამოწერავს უფლებით დაკანონის „სამხედრო სიტუაციაზ, რომელიც ჩვენი ნაპირებიდან სამი ათას მილზე მოქმედმა სამხედროებმა უკვე მოიგეს თავს ამერიკელ ხალს. ამბობენ, რომ პაქტი მომართულია რუსეთის, როგორც „პოტენციალური“ აგრესორის წინააღმდეგ, მაგრამ პაქტის პირველი მსხვერპლი იქნებიან ამერიკელნი და ამავე დროს ევროპელ ხალხებიც. მათ ეს პაქტი შეუმცირებს ცხოვრების დონეს და დაუკარგავს დემოკრატიულ თავისუფლებებს“.

შემდეგ ეოლესმა განაცხადა, რომ მმ ხარკვეზის ერთგვარი წარმოდგენა, რაც ამერიკელ ხალხს დაეკისრება დასავლეთ ევროპის შეიარაღებასთან დაკავშირებით, ამ ხალხმა უკვე მიიღო ცნობებდან, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა თვალსაწინაზე თავიანთი არმიები გაადიდონ 36-70 დივიზიამდე. „თანამედროვეობამ ფასიერა 400 მილიონ დოლარად ჯდება. მაშასადამე ეს ხარკები მიიწევს 14-30 მილიარდ დოლარს.

